

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №22
2016 წლის 30 დეკემბერი

ქ. საგარეჯო

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მოცულობა 8 618,6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან აღებული გრანტი 4098,6 ათასი ლარი, აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 3 888,6 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 210,0 ათასი ლარი. გადასახდელების მოცულობა განისაზღვროს 8 618,6 ათასი ლარით (დანართი თან ერთვის).

მუხლი 2

განისაზღვროს 2009 წელს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული ვალდებულებების დაფარვის და მომსახურების ასიგნება 16,4 ათასი ლარით.

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №47 დადგენილება.

მუხლი 4

დადგენილება ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ფრიდონ ბურდული

დანართი

თავი I

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული ცხრილის შესაბამისად:

დასახელება	2015 წლის ფაქტი სულ	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
შემოსავლები	10 971,6	10 925,6	3 577,0	7 348,6	8 518,6



გადასახადები	2 455,3	2 600,0	0,0	2 600,0	3 250,0
გრანტები	7 082,5	6 847,5	3 577,0	3 270,5	4 098,6
სხვა შემოსავლები	1 433,9	1 478,1	0,0	1 478,1	1 170,0
ხარჯები	6 847,8	7 125,9	1,5	7 124,5	6 675,2
შრომის ანაზღაურება	1 616,7	1 673,9	0,0	1 673,9	1 540,5
საქონელი და მომსახურება	1 303,0	1 448,4	0,0	1 448,4	1 406,1
პროცენტი	4,3	2,763	0,000	2,763	1,000
სუბსიდიები	3 099,6	3 255,4	0,0	3 255,4	3 170,0
გრანტები	267,4	35,3	0,0	35,3	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	339,1	541,2	0,0	541,2	488,5
სხვა ხარჯები	217,7	168,910	1,450	167,460	69,100
საოპერაციო სალდო	4 123,9	3 799,7	3 575,5	224,1	1 843,4
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3 545,1	5 904,7	4 397,0	1 507,6	1 828,0
ზრდა	3 739,7	6 069,7	4 397,0	1 672,6	1 928,0
კლება	194,6	165,0	0,0	165,0	100,0
მთლიანი სალდო	578,8	-2 105,0	-821,5	-1 283,5	15,4
ფინანსური აქტივების ცვლილება	381,6	-2 134,7	-821,5	-1 313,2	0,0
ზრდა	381,6	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	381,6	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	0,0	2 134,7	821,5	1 313,2	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	2 134,7	821,5	1 313,2	0,0
ვალდებულებების ცვლილება	-197,1	-29,7	0,0	-29,7	-15,4
კლება	197,1	29,7	0,0	29,7	15,4
საშინაო	197,1	29,7	0,0	29,7	15,4
ბალანსი	0,000	0,000	0,000	0,000	0,000



მუხლი 2. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანადართული ცხრილის შესაბამისად:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
შემოსულობები	11166.2	11095.784	8618,6
შემოსავლები	10971.6	10925,6	8518,6
არაფინანსური აქტივების კლება	194.6	165	100
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	1842,6	-91,851	0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	10784,6	13225,2	8618,6
ხარჯები	6847,8	7125,9	6675,2
არაფინანსური აქტივების ზრდა	3739,7	6069,7	1928
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	2214,7	-2226,630	0
ვალდებულებების კლება	197.146	29,7	15.4
ნაშთის ცვლილება	372.1	2134,7	0

მუხლი 3. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები **8 518,6** ათასი ლარის ოდენობით თანადართული ცხრილის შესაბამისად:

დასახელება	2015 წლის ფაქტი სულ	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები	
შემოსავლები	10 971,6	10 925,6	3 577,0	7 348,6	8 518,6
გადასახადები	2 455,3	2 600,0	0,0	2 600,0	3 250,0
გრანტები	7 082,5	6 847,5	3 577,0	3 270,5	4 098,6
სხვა შემოსავლები	1 433,9	1 478,1	0,0	1 478,1	1 170,0



მუხლი 4. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები **3250.0** ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017წლის გეგმა
გადასახადები	2455.3	2600	3250
ქონების გადასახადი	2455,3	1900	2550
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	267.9	100	710
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	12.5	30	30
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1609.5	1670.0	1600
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	564.1	100	210
სხვა გადასახადები ქონებაზე	1.3	0	0
საშემოსავლო გადასახადი	0	700	700

მუხლი 5. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები **4 098.6** ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
გრანტები	7082.5	6847.5	4098.6
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	7082.5	6847.5	4098.6
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	3812	3270.5	4098.6
გათანაბრებითი ტრანსფერი	3602	3060.5	3888.6



მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	210	210	210
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	3270.5	3577.0	0
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	2258.2	2494.8	0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1012.3	1082.2	0

მუხლი 6. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები **1 170 ათასი ლარის** ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	1433.9	1478.091	1170
შემოსავლები საკუთრებიდან	646.7	622	590
პროცენტები	91	60	80
რენტა	558.8	562	510
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	546.3	560	500
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	9.5	2	10
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	62.2	82.5	80
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	56.2	74	74
სანებართვო მოსაკრებელი	13.6	30	30
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.1	0	0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	2.6	4	4
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	40	40	40
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	6	8.5	6
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	6	8.5	6
ჯარიმები, სანქციები და საურავები	719.7	760	500
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	5.2	13.591	0

მუხლი 7. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები **6675.2 ათასი ლარის** ოდენობით:



დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
ხარჯები	6 847,8	7 125,9	1,5	7 124,5	6 675,2
შრომის ანაზღაურება	1 616,7	1 673,9	0,0	1 673,9	1 540,5
საქონელი და მომსახურება	1 303,0	1 448,4	0,0	1 448,4	1 406,1
პროცენტი	4,3	2,763	0,000	2,763	1,000
სუბსიდიები	3 099,6	3 255,4	0,0	3 255,4	3 170,0
გრანტები	267,4	35,3	0,0	35,3	0,0
სოციალური ზრუნველყოფა	339,1	541,2	0,0	541,2	488,5
სხვა ხარჯები	217,7	168,910	1,450	167,460	69,100

მუხლი 8. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 1828 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 1928 ათასი ლარის ოდენობით თანდართული ცხრილის შესაბამისად:

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა
			სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	10,629	31.3	0.0	31.3	18.8
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	0.0	0.0	0.0	1,2
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3215,597	5694,9	4223.3	1471.6	1846.8
04 00	განათლება	407,658	291.2	170,5	120.7	50,0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	0	18.4	2.5	15.9	11.2



06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	105.8	33.8	0.8	33	0
-------	--	-------	------	-----	----	---

ბ) განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 100 ათასი ლარის ოდენობით თანდართული ცხრილის შესაბამისად:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	194.6	165	100
ძირითადი აქტივები	10.5	65	0
მატერიალური მარაგები	0	0	0
ფასეულობები	0	0	0
არაწარმოებული აქტივები	184.1	100	100
მიწა	184.1	100	100

მუხლი 9. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში თანდართული ცხრილის შესაბამისად:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი სულ	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა
			სულ	მათ შორის		
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონ დებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2027,375	2167,894	0,000	2167,894	2 057,4
7011	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2023,083	2165,154	0,000	2165,154	2 056,4
70111	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2023,083	2159,790	0,000	2159,790	1 981,4



70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,000	5,364	0,000	5,364	75,0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	4,292	2,740	0,000	2,740	1,0
702	თავდაცვა	98,230	115,600	0,000	115,600	106,5
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	273,000	0,000	0,000	0,000	0,0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	273,000	0,000	0,000	0,000	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	1827,655	3067,222	2537,421	529,801	1 567,3
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	10,785	153,643	153,643	0,000	0,0
70421	სოფლის მეურნეობა	10,785	153,643	153,643	0,000	0,0
7045	ტრანსპორტი	1816,869	2913,579	2383,778	529,801	1 567,3
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1816,869	2913,579	2383,778	529,801	1 567,3
705	გარემოს დაცვა	638,013	726,665	110,179	616,486	550,0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	556,928	553,206	1,356	551,850	490,0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	81,085	117,984	108,823	9,161	20,0
7055	გამოყენებითი კვლევები გარემოს დაცვის სფეროში	0,000	55,475	0,000	55,475	40,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1735,666	3036,045	1575,713	1460,332	703,5
7063	წყალმომარაგება	1263,671	1817,937	1209,915	608,022	223,5
7064	გარე განათება	330,515	570,474	187,943	382,531	283,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	141,480	647,634	177,855	469,780	197,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	109,147	116,769	0,784	115,985	86,6
7072	ამბულატორიული მომსახურება	17,263	27,769	0,784	26,985	6,6
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	91,884	89,000	0,000	89,000	80,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1174,954	1206,705	2,481	1204,224	1 046,1
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	598,394	597,225	0,000	597,225	514,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	524,394	552,780	2,481	550,299	487,2
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	26,493	26,700	0,000	26,700	24,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	25,673	30,000	0,000	30,000	20,9
709	განათლება	2061,131	1988,855	171,904	1816,951	1 770,0
7091	სკოლამდელი აღზრდა	1982,292	1913,355	171,904	1741,451	1 700,0



7092	ზოგადი განათლება	78,839	75,500	0,000	75,500	70,0
710	სოციალური დაცვა	651,796	771,300	0,000	771,300	715,8
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	10,350	15,600	0,000	15,600	12,5
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	10,350	15,600	0,000	15,600	12,5
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	301,886	223,600	0,000	223,600	198,0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	1,800	1,800	0,000	1,800	1,8
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	3,050	7,900	0,000	7,900	10,0
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	38,497	40,500	0,000	40,500	37,5
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	290,963	475,400	0,000	475,400	450,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	5,250	6,500	0,000	6,500	6,0
	სულ	10596,966	13197,055	4398,482	8798,573	8 603,2

მუხლი 10. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს 15,4 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება (0,0) ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება (0,0) ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (-15.4) ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 75.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 210.0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული



უფლებამოსილების განხორციელებისათვის - 80.0 ათასი ლარი;

ბ. „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის - 106.5 ათასი ლარი;

გ. „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის - 5 ათასი ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა აღრიცხვის, გაწვევისა და მათი ტრანსპორტირების ღონისძიებები.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა აღრიცხვა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ასევე განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ა. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია და რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება, დასრულდება 2016 წელს დაწყებული სოფელ შიბლიანში მისასვლელი გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები და სოფლების დუზაგრამა-თულარის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები; განხორციელდება სოფელ პატარძელში „მიოს უბანში“ გზის მოასფალტება, სოფელ ხაშმში მისასვლელი გზის მოასფალტება, სოფელ მანავში ხევზე გადასასვლელი ხიდის მოწყობა, ქ.საგარეჯოში: ერისთავის



ქუჩაზე ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობა, ე.წ. „სიყვარულის ხიდის“ რეაბილიტაცია, თამარ მეფის და ერეკლე მეორის ქუჩებზე ტროტუარების მოწყობა, ქ.საგარეჯოს ქუჩების ასფალტის საფარის ორმოული შეკეთება, დაზიანებული მოაჯირებისა და ტროტუარების აღდგენა, მამისაშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხებზე ცხაურების მოწყობა, ჯაფარიძის ქუჩაზე, ნინოშვილის ქუჩაზე და თამარ მეფის ქუჩაზე (გამგეობის შენობის უკან) სანიაღვრე არხების მოწყობა; სოფელ პატარძელში სტადიონის მიმდებარედ სანიაღვრე არხების მოწყობა, სოფელ მანავში ე.წ. გორხანის უბანში სკოლის მიმდებარე სანაპირო ქუჩის შეკეთება, რაც გააუმჯობესებს არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურას.

ბ. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოვება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და მისი ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება, ქალაქ საგარეჯოს და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების სათავე ნაგებობების და ქსელების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და გაწმენდა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხევების ნატანებისაგან გაწმენდა.

ბ.ა წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის სათავე ნაგებობების, არსებული წყალმომარაგების ქსელების სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარება, სასმელი წყლის ჭაბურღილების მოწყობა, სოფელ ბადიაურის ე.წ. „სოკარის წყლის“ ცენტრალური მაგისტრალის ამოცვლა, სოფელ ბადიაურის სასმელი წყლის ახალი მაგისტრალის მოწყობა, სოფელ პატარძელში რეზერვუარის მოწყობა, სოფელ გიორგიწმინდაში ქვემო სამგორის დასახლებაში წყლის რეზერვუარის მოწყობა, სოფელ ნინოწმინდაში არსებული წყლის რეზერვუარიდან ქსელის მოწყობა მოსახლეობამდე. საგარეჯოს მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ტერიტორიაზე არსებული სათავე-ნაგებობების, რეზერვუარების, შიდა საუბნო და ცენტრალური ქსელების, სატუმბი სადგურების მოვლა-პატრონობა (დარეგულირება) და რეცხვა-დეზინფექცია სადეზინფექციო საშუალებებით. წყლის საანალიზო სინჯების აღება არსებულ სანიტარულ ნორმებთან მისი შესაბამისობის დადგენის მიზნით, ასევე მიმდინარე შეკეთების სამუშაოების ჩატარება.

ბ.ბ გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქუჩების განათება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია და არსებული ნათურების ნაწილის შეცვლა ახალი დიოდური სანათებით. მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების დაფარვა. განხორციელდება ახალი გარე განათების მოწყობა სოფელ გიორგიწმინდაში სამ უბანზე, სოფელ უდაბნოში, სოფელ ნინოწმინდაში ე.წ. „აჭარელთა უბანში“ სოფელ კაკაბეთში ე.წ. „კუპატაძეების უბანში“ და მოხდება ქ. საგარეჯოში კახეთის გზატკეცილზე გარე განათების მოწყობა „ლედი“ სანათებით.

ბ.გ გარემოს დაცვითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ საგარეჯოს 49 ქუჩიდან, სოფელ გიორგიწმინდის, ნინოწმინდის, წყაროსთავის, პატარძელის, თოხლიაურის და მანავის მოსახლეობიდან, ფიზიკური და იურიდიული პირებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენის გატანა ორ დღეში ერთხელ. დამატებით 2017 წელს განხორციელდება ნაგვის გატანა სოფელ ხაშმიდან სამ დღეში ერთხელ, ხოლო აპრილის თვიდან სოფელ დიდი ჩაილურიდან და სოფელ პატარა ჩაილურიდან სამ დღეში ერთხელ. ასევე განხორციელდება ქალაქ საგარეჯოს ცენტრალური ქუჩების და მოედნების დაგვა-დასუფთავება, წყალსადინარი არხების გაწმენდა ქ.საგარეჯოში, სოფელ გიორგიწმინდის და ნინოწმინდის ცენტრალურ ქუჩებზე, „ტიკიაურის ხევის“ სანიაღვრე არხის გაწმენდა და მოვლა-პატრონობა. ზამთრის პერიოდში გზების ტექნიკური მარილით დამუშავება, ჭარბი თოვლისაგან გაწმენდა, საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის ახალი ბუნკერების შექმნა, ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ბაღების, სკვერების, გაზონების მოვლა-პატრონობა. მოეწყობა სარწყავი არხი ქ.საგარეჯოში



პეტრე-პავლეს ეკლესიასთან მისასვლელ გზაზე. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხევების კალაპოტების ნატანებისაგან გაწმენდა, რადგან არ მოხდეს მოსახლეობის კუთვნილი საკარმიდამო ნაკვეთების დატბორვა, არ მოხდეს წყლის ნაკადის ცენტრალურ გზაზე გადასვლა და ტრანსპორტის გადაადგილების შეფერხება, ასევე გზების გაწმენდის სამუშაოები. დაფინანსდება ამ მიმართულებით გამოსაყენებელი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მძიმე ტექნიკის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები.

გ. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა და მოვლა-პატრონობა. დაფინანსდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების ახლით შეცვლის სამუშაოები. ქ.საგარეჯოში დავით აღმაშენებლის ქ. №9-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის სახურავის შეკეთება და შენობის შესასვლელში სახურავის და პანდუსის მოწყობა. ასევე განხორციელდება ქ.საგარეჯოში სტადიონის რეაბილიტაცია, ქ. საგარეჯოში მინი სტადიონის რეაბილიტაცია, ჯაფარიძის ქუჩაზე მინი სტადიონის რეაბილიტაცია, ქ.საგარეჯოში მ.კოსტავას ქუჩის ბოლოში სკვერის მოწყობა, ქ. საგარეჯოში ერეკლე მეორის ქუჩაზე მდებარე სკვერის მოაჯირების რეაბილიტაცია და შადრევნის აღდგენა, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე გმირთა მემორიალთან გარე განათების მოწყობა და სანიაღვრე არხის აღდგენა, ქ.საგარეჯოში სკვერის მოწყობა დავით აღმაშენებლის ქუჩის დასაწყისში, საჯარო დაწესებულებების შენობებში პანდუსების მოწყობა.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

ა. სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამას ახორციელებს ა(ა)იპ „საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“. საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 28 სკოლამდელი დაწესებულება (მათ შორის მ/წელს დაემატა სოფელ დუზაგრამის ს/ბაღი) და ორი ალტერნატიული ჯგუფი (60 ბავშვით), სადაც სწავლობს 1450 აღსაზრდელი. კვლავ მოხდება საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაციის სამუშაოების დაფინანსება, 11 საბავშვო ბაღში გათვალისწინებულია შეკეთების სამუშაოების ჩატარება და სოფელ ნინოწმინდის ს/ბაღის შენობის რეაბილიტაცია. კვლავ მოხდება საბავშვო ბაღებში ავეჯისა და ინვენტარის განახლება, ეზოების კეთილმოწყობა.

ბ. ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამა ითვალისწინებს სკოლის მოსწავლეთა ესთეტიკური და სულიერი აღზრდის ხელშეწყობას და მათი მხატრულ-შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებას, ასევე არაქართველი მოსახლეობისთვის ქართული ენის შესწავლას.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების გამოვლენა.

ა. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)



პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენისათვის შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება, სპორტის სხვადასხვა სახეობის (ფეხბურთის, ცურვა, თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, მძეოსნობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, რაგბი, ჭადრაკი, ტაიკვანდო, უშუ, მკლავჭიდი) განვითარების პოპულარიზაცია, სხვადასხვა ადგილობრივ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.

ა.ა სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამა მოიცავს ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ დაფინანსებას, ფუნქციონირებს ჭადრაკის, ფეხბურთის, თავისუფალი ჭიდაობის, ძიუდოს, მძეოსნობის, ბერძნულ-რომაული ჭიდაობის, რაგბის, კალათბურთის, ტაიკვანდოს, უშუს და მკლავჭიდის სექციები, რომელიც აერთიანებს 700 მოსწავლეს. ქვეპროგრამა ასევე მოიცავს ა(ა)იპ "საგარეჯოს №105 კომპლექსური სასპორტო სკოლის“ ფინანსურ მხარდაჭერას.

ა.ბ სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობას, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტსმენების ტურნირებსა და შეჯიბრებებში მონაწილეობის ფინანსურ მხარდაჭერას.

ბ. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის ფარგლებში კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული დაწესებულებების და ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა.

ბ.ა კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ობიექტების, ბიბლიოთეკების, მუზეუმების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა, წიგნადი ფონდის განახლება თანამედრვე ლიტერატურით, ადგილობრივი მნიშვნელობის თეატრის რეპერტუარის განახლება, კულტურული დაწესებულებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. დამატებით დაფინანსდება ქალთა ქორეოგრაფიული ანსამბლი“კასლეთილა“, კულტურის სახლისთვის ახალი მუსიკალური აპარატურის შეძენა და გ.ლეონიძის სახლმუზეუმისთვის ვიდეო სათვალთვალ კამერის შეძენა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მოსწავლეთათვის დაწყებითი სამუსიკო განათლების მიცემა, სასწავლებელი მოიცავს შემდეგ დარგებს: საფორტეპიანო, სავიოლინო, ვოკალური, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების გაცნობა, მოსწავლეთათვის ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება, მუსიკალურ განათლებას იღებს 230 მოსწავლე.

ბ.ბ კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა. ასევე სადღესასწაულო დღეებში განხორციელდება სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. ჩატარდება საახალწლო ღონისძიება.

გ. საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის განვითარებაში.

ჩატარდება ტრენინგ-სემინარები, ფორუმები, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, გასართობი თამაშები, შემოქმედებითი და საგანმანათლებლო კონკურსები და სხვა. პროგრამა ასევე ითვალისწინებს შემოქმედებითი ახალგაზრდების პოპულარიზაციას (გამოფენები, ლიტერატურული საღამოები, კონცერტები და სხვა), ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას (ლაშქრობები, ექსკურსიები, სპორტული შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში).



დ. საგამომცემლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთის გამოშვება, რომლის მიზანია საგარეჯოს მოსახლეობის ინფორმირება რაიონში მიმდინარე მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ა. ჯანდაცვის პროგრამები (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ადამიანის უსაფრთხო გარემოს შექმნის ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით, დერატიზაციის, დეზინფექციის და საბიონიფიკაციო ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა. მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება სოფლის ამბულატორიების მომსახურება, ექიმთა დამაგრების მიზნით ხელფასზე დანამატის დაფინანსება (სოფელი უდაბნო მუნიციპალიტეტის ცენტრიდან დაშორებულია 30 კმ-ით, სოფელში არის ამბულატორია, მაგრამ მძიმე პირობების გამო ჭირს ექიმთა სოფელში დამაგრება).

ბ. სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენების გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ბ.ა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი (65000-დან 120000-მდე ქულის მქონე) მოსახლეობის ერთჯერადი დახმარება 100 ლარის ოდენობით,

სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონარული მკურნალობის და ოპერაციის დაფინანსება ღირებულების 70%-ით (არაუმეტეს 1000 ლარისა, 3000 ლარზე მეტი გადასახდელი თანხის შემთხვევაში არაუმეტეს 1500 ლარისა), ლაბორატორიული გამოკვლევების დაფინანსება ღირებულების 50%-ით (არაუმეტეს 500 ლარისა), უპატრონო მიცვალებულის, სოციალურის სტატუსის მქონე პირთა დაკრძალვის ხარჯი და დევნილი პირის დაკრძალვის ხარჯი თითოეულზე 300 ლარის ოდენობით, დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა დახმარება (ტრანსპორტის ხარჯი) თითოეულზე თვეში 100 ლარი, 95 წელს გადაცილებული ხანდაზმულების დახმარება თითოეულზე 100 ლარი, სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული სახლების მაცხოვრებელთა საცხოვრებელი უზრუნველყოფა (ბინის ქირის ასანაზღაურებელი კომპენსაცია), საგარეჯოს ადგილობრივ ხელისუფლებაში მომუშავე პირის სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული ოჯახის სოციალური დაცვა. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება 0-დან 120000 ქულამდე სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახების მატერიალური დახმარება, ახალშობილთა დახმარება და მარტოხელა დედების დახმარება. ქვეპროგრამის ფარგლებში



გათვალისწინებულია უდედამამო ბავშვების (18 წლამდე) დახმარება თვეში 50 ლარის ოდენობით, ს.უდაბნოდან ქ.საგარეჯოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ტრანსპორტირება კვირაში ორჯერ მთელი წლის განმავლობაში და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის სააღდგომო სასურსათო ამანათების გადაცემა.

ბ.ბ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების (18 წლამდე) დახმარება 200 ლარის ოდენობით.

ბ.გ უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია უმწეო მდგომარეობაში მყოფი 230 ბენეფიციარის ყოველდღიურად კვებით უზრუნველყოფა. ქალაქ საგარეჯოში ფუნქციონირებს 2 უფასო სასადილო.

ბ.დ ხანდაზმულთა ცენტრის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ხანდაზმულთა დღის ცენტრის მენეჯერის ხელფასის და კომუნალური გადასახადების გადახდა, ხანდაზმულთა (90 წლის და მეტი) დახმარება,

ბ.ე ვეტერანთა დახმარების და დაკრძალვის ხარჯები (პროგრამული კოდი 06 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სამამულო ომის მომაწილეთა დახმარება და დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება თითოეულ ბენეფიციარზე 250 ლარის ოდენობით.

მუხლი 17. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული ცხრილის შესაბამისად:

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი სულ	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა
			სულ	მათ შორის		
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	10794,6	13225,2	4398,5	8826,8	8 618,6
	მომუშავეთა რიცხოვნობა	164	177		177	175
	ხარჯები	6847,8	7125,9	1,5	7124,5	6675,2
	შრომის ანაზღაურება	1616,7	1673,9		1673,9	1 540,5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3739,7	6069,7	4397,0	1672,6	1928,0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	197,1	29,7		29,7	15,4
	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	2039,6	2193,2	0,0	2193,2	2 072,8



01 00	მომუშავეთა რიცხოვნობა	155	168		168	166
	ხარჯები	2016,7	2136,6		2136,6	2 038,6
	შრომის ანაზღაურება	1535,8	1597,3		1597,3	1 473,3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	10,6	31,3		31,3	18,8
	ვალდებულებების კლება	12,2	25,3		25,3	15,4
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	575,1	596,4		596,4	541,2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	32	32		32	32
	ხარჯები	571,3	591,5		591,5	541,2
	შრომის ანაზღაურება	415,0	413,6		413,6	390
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,8	4,5		4,5	0,0
	ვალდებულებების კლება		0,4		0,4	
01 02	მუნიციპალიტეტის გამგეობა	1448,1	1575		1575	1 440,2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	123	136		136	134
	ხარჯები	1441,2	1537		1537	1 421,4
	შრომის ანაზღაურება	1120,8	1183,7		1183,7	1 083,3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6,8	26,8		26,8	18,8
	ვალდებულებების კლება	0,1	11,2		11,2	0,0
01 03	სარეზერვო ფონდი		5,4		5,4	75,0
	ხარჯები		5,4		5,4	75,0
01 04	წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	16,4	16,4		16,4	16,4
	ხარჯები	4,3	2,8		2,8	1,0
	ვალდებულებების კლება	12,1	13,7		13,7	15,4
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	371,2	115,6		115,6	106,5



	მომუშავეთა რიცხოვნობა	9	9		9	9
	ხარჯები	371,2	115,6		115,6	105,3
	შრომის ანაზღაურება	80,8	76,6		76,6	67,2
	არაფინანსური აქტივების ზრდა					1,2
02 01	საგანგებო სიტუაციების მართვა	273,0				
	მომუშავეთა რიცხოვნობა					
	ხარჯები	273,0				
	შრომის ანაზღაურება	3,6				
	არაფინანსური აქტივების ზრდა					
02 02	ქვეყნის თვდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	98,2	115,6		115,6	106,5
	მომუშავეთა რიცხოვნობა	9	9		9	9
	ხარჯები	98,2	115,6		115,6	105,3
	შრომის ანაზღაურება	77,3	76,6		76,6	67,2
	არაფინანსური აქტივების ზრდა					1,2
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	4376,3	6829,9	4223,3	2606,6	2820,8
	ხარჯები	985,7	1135,0		1135,0	974,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3215,6	5694,9	4223,3	1471,6	1846,8
	ვალდებულებების კლება	174,9				
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	1816,9	2913,6	2383,8	529,8	1567,3
	ხარჯები	13,0	10,4		10,4	2,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1803,9	2903,2	2383,8	519,4	1565,3
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	2407,1	3115,1	1508,0	1607,0	1 056,5
	ხარჯები	940,7	1057,4		1057,4	972



	არაფინანსური აქტივების ზრდა	1291,5	2057,6	1508,0	549,6	84,5
	ვალდებულებების კლება	174,9				
03 02 01	წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები	1438,6	1817,9	1209,9	608	223,5
	ხარჯები	174,8	180,3		180,3	172
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1088,9	1637,6	1209,9	427,7	51,5
	ვალდებულებების კლება	174,9				
03 02 02	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები	330,5	570,5	187,9	382,5	283
	ხარჯები	253,5	294,3		294,3	270
	არაფინანსური აქტივების ზრდა	77,1	276,1	187,9	88,2	13,0
03 02 03	გარემოს დაცვითი ღონისძიებები	638,0	726,7	110,2	616,5	550
	ხარჯები	512,5	582,8		582,8	530
	არაფინანსური აქტივების ზრდა	125,5	143,9	110,2	33,7	20,0
03 03	სხვა ხარჯი სოფლის მეურნეობის ხაზით	10,8	153,6	153,6	0,0	0,0
	ხარჯები					
	არაფინანსური აქტივების ზრდა	10,785	158,943	158,943		8,0
03 04	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	141,5	647,6	177,9	469,8	197,0
	ხარჯები	32,1	67,1		67,1	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	109,4	580,5	177,9	402,6	197,0
04 00	განათლება	2068,0	1988,9	171,9	1817,0	1 770,0
	ხარჯები	1653,473	1686,393	1,450	1684,943	1 848,4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	407,658	307,462	170,454	137,008	50,0
	ვალდებულებების კლება	6,888				
04 01	სკოლამდელი განათლება	1989,2	1913,4	171,9	1741,5	1700



	ხარჯები	1574,6	1625,6	1,5	1624,1	1 650
	არაფინანსური აქტივების ზრდა	407,7	287,8	170,5	117,3	50,0
	ვალდებულებების კლება	6,9				
04 02	პროფესიული განათლების ხელშეწყობა	78,8	75,5		75,5	70
	ხარჯები	78,8	72,1		72,1	70
	არაფინანსური აქტივების ზრდა		3,4		3,4	
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	1165,7	1209,5	2,5	1207,0	1 046,1
	ხარჯები	1165,5	1188,2		1188,2	1 034,9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	18,4	2,5	15,9	11,2
	ვალდებულებების კლება	0,3	2,9		2,9	0,0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	598,4	597,2		597,2	514,0
	ხარჯები	598,4	590,8		590,8	514,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	6,4		6,4	0,0
05 01 01	სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა	562	526,9		526,9	492,0
	ხარჯები	562,0	520,4		520,4	492,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	6,4		6,4	0,0
05 01 02	სპორტული დონისძიებების ხელშეწყობა	36,4	70,3		70,3	22,0
	ხარჯები	36,4	70,3		70,3	22,0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	515,2	555,6	2,5	553,1	476,0
	ხარჯები	514,9	540,7		540,7	531,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	12,0	2,5	9,5	11,2
	ვალდებულებების კლება	0,3	2,9		2,9	0,0
05 02 01	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	504,3	517,0		517,0	475,2



	ხარჯები	504,3	507,5		507,5	464,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა		9,5		9,5	11,2
05 02 02	კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	10,8	38,6	2,5	36,1	12,0
	ხარჯები	10,6	33,2		33,2	12,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	2,5	2,5	0,0	0,0
	ვალდებულებების კლება	0,3	2,9		2,9	0,0
05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	25,7	30,0		30,0	20,9
	ხარჯები	25,7	30,0		30,0	20,9
05 04	საგამომცემლო საქმიანობა	26,5	26,7		26,7	24,0
	ხარჯები	26,5	26,7		26,7	24,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0				0,0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	763,7	888,2	0,8	887,4	802,4
	ხარჯები	655,1	852,9		852,9	802,4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	105,8	33,8	0,8	33,0	0,0
	ვალდებულებების კლება	2,8	1,5	0,0	1,5	0,0
06 01	ჯანდაცვის პროგრამები	109,1	116,8	0,8	116,0	86,6
	ხარჯები	96,8	93,3		93,3	86,6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	12,3	23,4	0,8	22,7	0,0
06 02	სოციალური პროგრამები	654,6	771,4		771,4	715,8
	ხარჯები	558,3	759,5		759,5	715,8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	93,5	10,4		10,4	0,0
	ვალდებულებების კლება	2,8	1,5		1,5	0,0
06 02 01	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	450,4	559,3		559,3	517,3



	ხარჯები	358,8	557,8		557,8	517,3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	88,9	0,0		0,0	0,0
	ვალდებულებების კლება	2,8	1,5		1,5	0,0
06 02 02	ავადმყოფთა და შებლადული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	10,4	15,6		15,6	12,5
	ხარჯები	10,4	15,6		15,6	12,5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0				
06 02 03	უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	179,3	180,0		180,0	170,0
	ხარჯები	174,7	169,6		169,6	170,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4,6	10,4		10,4	0,0
06 02 04	ხანდაზმულთა ცენტრის პროგრამა	9,3	10,0		10,0	10,0
	ხარჯები	9,3	10,0		10,0	10,0
06 02 05	ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები	5,3	6,5		6,5	6,0
	ხარჯები	5,3	6,5		6,5	6,0

